ახალი ხარაგაული

№ 421 (12) 29 სექტემბერი, 2020 წ.

„ქართული ოცნებამ“ ხარაგაულის პმომრჩეველს მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა

საქართველოს პრემიერ- მინისტრმა გიორგი გახარიამ, პარტია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ხარაგაულის ამომრჩეველს მერობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი და საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პაატა კვიჟინაძე წარუდგინეს.

პარტიის ლიდერებმა მხარდამჭერებს საარჩევნო პროგრამა გააცნეს, ასევე ხარაგაულში განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს.

მთავრობის მეთაურმა გიორგი გახარიამ რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეს პროექტი უაღრესად შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის.

„ისტორიულად ამ მუნიციპალიტეტისთვის გზას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქ ცნობილი საქარავნე, სავაჭრო გზები გადიოდა. ამ რეგიონში მსგავსი სირთულის საინჟინრო ნაგებობები არასდროს აშენებულა და მართლაც შთამბეჭდავია. მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, პანდემიისა, ამ მშენებლობაზე სამუშაოები არც ერთი დღით არ შეჩერებულა. რიკოთის უღელტეხილის მშენებლობას აქვს კრიტიკულად დიდი მნიშვნელობა ქვეყნისთვის. ხარისხობრივად სულ სხვა ქვეყანას მივიღებთ და ეს იქნება მობილობის უმაღლესი დონე, რომელიც პირდაპირ იმოქმედებს სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე. ის მცირე ბიზნესები, რომლებიც ამ გზის ირგვლივ ყოველთვის იყო, კვლავაც იქნება. ჩვენ მათი შენარჩუნებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ და ეს ყველაფერი უფრო უკეთესი ფორმით იქნება წარმოდგენილი. როდესაც ეს გზა დასრულდება, მიუხედავად იმისა, რომ დღესაც აქ უამრავი ადგილობრივია დასაქმებული, გახდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასაქმების სტიმულირების ახალი, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. გარდა ამისა, ბორჯომ-ხარაგაულის ტყეპარკი, ტურისტულად უაღრესად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, პანდემიის გამო ტურისტები გვაკლია, ესეც გადაივლის. ამ მუნიციპალიტეტისათვის ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება არის უმთავრესი.

ხარაგაულის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ასევე შიდა საუბნო გზების მოწესრიგება და წყალმომარაგებაა. მერწმუნეთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ გავაძლიერებთ ყურადღებასა და მუშაობას. წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება, ამას კი ავტომატურად მოჰყვება წყალარინების სისტემის წესრიგება.

ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს დაწყებული, რომელიც უნდა დავასრულოთ ერთად და გამარჯვებით. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება 31 ოქტომბრის არჩევნები. დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიან ბრძოლაში ბ-ნ პაატა კვიჟინაძე და ბ-ნ კობა ლურსმანაშვილი გაიმარჯვებენ. ჩვენი მიზანი, საბოლოო, ჯამში არის მარტივი - ეკონომიკურად ძლიერი, სამართლიანი, განათლებული და ევროპული სახელმწიფო, რომელიც ერთად უნდა ავაშენოთ.“ -განაცხადა გიორგი გახარიამ.

პარტიის გენერალური მდივნის-კახი კალაძის-თქმით, სახელმწიფო რეგიონებზე და, კონკრეტულად, თითოეული მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს ახორციელებს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტშიც, პრაქტიკულად ყველა მიმართულებით გვაქვს წინსვლა, იქნება ეს სოფლის მეურნეობა, მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, თუ სხვა.

„დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი კარგად ხედავს, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, მშვიდობა და სტაბილურობა გარანტირებულია, ხოლო ეკონომიკური განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, რათა ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს კეთილდღეობა.

რასაკვირველია, ამ წარმატებების კვალდაკვალ, ჩვენ წინაშე დიდი გამოწვევებია, რომლებიც ერთად უნდა დავძლიოთ და გადავლახოთ. პროგრესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. ამავდროულად კი, თითოეული თქვენგანი უნდა გრძნობდეს, რომ მის გვერდით, საკუთარ მოსახლეობაზე მზრუნველი, ეფექტური მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება დგას.

ქვეყანაში უნდა გაგრძელდეს სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება და, რაც მთავარია, უნდა იყოს მშვიდობა

და სიმშვიდე. ამის გარანტი კი არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

ჩვენი ყოველდღიური ქმედებებით უნდა შევქმნათ წარმატებული ისტორიები, ერთად უნდა ვიშრომოთ იმისთვის, რომ ხარაგაული და, ზოგადად, იმერეთის რეგიონი იყოს წარმატებული„„-განმარტა კახი კალაძემ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხარაგაულის მერობის კანდიდატმა კობა ლურსმანაშვილმა.

- „ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა, „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად ხარაგაული წარმატებულ მუნიციპალიტეტად ვაქციო.

მე გამაჩნია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე საპარლამენტო საქმიანობის დიდი გამოცდილება, რაც სრულად მოხმარდება ხარაგაულის პოტენციალის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, არის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მწვავედ დგას მოსახლეობის წინაშე. ჩვენ ერთობლივი ძალებით შევძლებთ და უმოკლეს დროში ჩავაბარებთ ისტორიას დაბისა და სოფლების სასმელი წყლით მომარაგების, საგზაო ინფრასტრუქტურისა და გაზიფიცირების მიმართულებით არსებულ პრობლემებს.

მზად ვარ, პროფესიონალურ დონეზე მთელი ჩემი გამოცდილებით, რომელიც ამ წლების განმავლობაში დამიგროვდა, ვიყო თქვენ გვერდით, როგორც თქვენი ოჯახის წევრი, მეგობარი და ვიზრუნო თითოეული თქვენგანის პრობლემის მოგვარებაზე. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია თითოეული ხარაგაულელის ცხოვრების დონის ამაღლება. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვუყურებ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებსაც კონკურენციით გზა გაეხსნებათ პროფესიონალიზმისაკენ.

სრულად მაქვს გაცნობიერებული, რაოდენ დიდი პატივია, გახდე იმ მუნიციპალიტეტის მერი, რომლის შემადგენლობაში სოფელი ფარცხნალია. სოფელი, რომელმაც ორმოცი პროფესორი და ოთხი აკადემიკოსი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. ასევე არ შემიძლია, არ გამოვყო კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებები, რომელთა სფეროში მოღვაწე ადამიანებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეს ტრადიციები კვლავ გრძელდება.

„ქართული ოცნება“ არის უალტერნატივო პოლიტიკური პარტია და ყველას მოგიწოდებთ, 31 ოქტომბერს მიბრძანდეთ არჩევნებზე და სიყვარულით, სიმტკიცით გადამჭრელი ხმა მისცეთ საქართველოს უკეთეს ხვალინდელ დღეს.

დიდი პატივია, თქვენთან ერთად ვაშენო ხარაგაული!“

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

უმაღვენიერეს ღლთა სამი ავტორი და „გამას“ ხუთწლიანი იუბილე

ძვირფასო მკითხველო!

ვინც რეგულარულად ეცნობა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის (ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე) შემოქმედებით ცხოვრებას, იცის, რომ მხატვართა პლენერ „გამას“ გახსნა -დახურვის ცერემონიალები პირველად, ხუთი წლის წინ, ხარაგაულში, ჩხერიმელას პირას, „დევების“ ქანდაკებებთან გაიმართა, მეორედ - პლენერს ფარცხნალმა უმასპინძლა; მესამედ - ბორითში გაიხსნა მერაბ კოსტავას ძეგლთან და საზეიმო დახურვა უბისის ტაძართან განხორციელდა; მეოთხედ ღორეშის მემორიალური მუზეუმი (დირექტორი პავლე ჯიბუტი) იყო პლენერის გახსნა-დახურვის კეთილი მასპინძელი.

იმჯერად ღორეშისა და ლიტერატურული თეატრის შთამბეჭდავი ორი დღის სტუმარი იყო თეატრის დიდი მეგობარი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების მკვიდრი, ბატონი ბახვა სამხარაძე, რომელმაც გამოხატა კეთილი ნება, რომ „გამას'' ხუთწლიან იუბილეს მისი ეზოკარი უმასპინძლებდა...

მინდა, გარკვეული კომენტარი გავაკეთო სოფლის სახელთან დაკავშირებით. ბევრი გვეკითხებოდა, თუ სად მდებარეობდა აღნიშნული სოფელი.

სამება (ყოფილი დიდი განთიადი) ძირულის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოური ყოფის დამკვიდრების შემდეგ, საქართველოს უამრავ სოფელს გადაარქვეს სახელი და მონათლეს ახალი „ბედნიერი ყოფის“ გამომხატველი სახელებით (განთიადი, დიდი განთიადი, ახალსოფელი, გამარჯვება, განკარი - განათლების კარი და ა.შ). სოფელ სამებასაც „წაართვეს“ თავისი ძირძველი სახელი და განთიადი უწოდეს. არადა, სოფლის სახელი ხომ წმინდა სამების შესატყვისი იყო, რადგან სოფელს მაღლობიდან გადმოჰყურებს სამების ბაზილიკური ტაძარი. აქვე აღვნიშნავ, რომ ტაძრის ძალმოსილებას აძლიერებს „გამას“ წლევანდელი მასპინძლის, ბატონ ბახვა სამხარაძის, შეწირულობით აგებული სამრეკლო. სოფლის პატრიოტთა დიდი მცდელობით, სამებას კვლავ დაუბრუნდა თავისი პირვანდელი ღვთიური სახელი, რაც ყველასათვის სასიხარულო და მისასალმებელია.

ამქვეყნიური „ედემი“ და ფერთა სიმფონია...

ჩვენო მკითხველო!

„გამას“ იუბილე და მხატვართა რიგით მეხუთე პლენერი - 29-30 აგვისტოს ჩატარდა.

ამ ორი უმშვენიერესი დღის გეგმა-ჩანაფიქრს სამი გამორჩეული ავტორი ჰყავს: ძირულის ხეობის არაერთი ტაძრის მრევლის „კეთილი მწყემსი“, ფიზიკურად და სულიერად მართლაც უფლის მიერ თავს ხატად შექმნილი ადამიანის ჭეშმარიტი სახე, მამა პეტრე (კურტანიძე), ლიტერატურული თეატრის ნიჭიერი მესაჭე და პროექტ „გამას“ ავტორი იზა ვეფხვაძე და მამაპაპეული სამკვიდრო მიწის ახალი სიცოცხლის მიმნიჭებელი, „ედემის“ მეპატრონე, დამსახურებული ინჟინერი, ქველმოქმედი და მეცენატი ბახვა სამხარაძე.

რასაკვირველია, ხაზს ვუსვამ რა ამ სამ პიროვნებას, მათთან ერთად გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელთაც გულის უდიდესი სითბო გამოასხივეს, რომ აღნიშნული ორი დღე ოქროს ასოებით ჩაიწეროს ქართული ხელოვნებისა და ქართველთა ნიჭიერების დიდ მატიანეში.

***

29-30 აგვისტოს ორმა ულამაზესმა დღემ სოფელ სამებას სრულიად საქართველოდან აწვია ფერწერის 30 ოსტატი და დიდოსტატი. მათ შორის, უხუცესი ხელოვანი ილია პატაშური თბილისიდან და ყველაზე უმცროსი მონაწილე, 20 წლის გიორგი ფხაკაძე ქუთაისიდან; დისტანციურად ჩაერთო ხუთი მხატვარი თბილისიდან, ამერიკიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, რუსეთიდან.

29 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ტრადიციისამებრ, აჟღერდა „გამას“ ჰიმნი. ამ ფონზე მხატვარმა დავით სულაქველიძემ აღმართა „გამას“ დროშა. ქალბატონმა იზამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პლენერის მონაწილე მხატვრები.

მასპინძელთა შორის არიან: ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები, ცალკეულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რიგითი ადამიანები...

ვიდეოჩართვით ესალმებიან და წარმატებას უსურვებენ მხატვრებს: ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი, (სპორტული კომენტატორი, რადიო „ჯაკოს“ დამაარსებელი), სამხატვრო აკადემიის რექტორი ბატონი გია გუგუშვილი, „პიონერფილმელები“ და მათი საყვარელი წინამძღოლი

გრიგოლ ჩიგოგიძე.

საქართველოს ქალთა საბჭომ (ხელმძღვანელები მზექალა შანიძე, ქეთევან გაბროშვილი) უმშვენიერესი საიუბილეო ბანერი გამოუგზავნა ლიტერატურულ თეატრს.

პლენერის სტუმარია ფოტოხელოვანი ბადრი ვადაჭკორია, რომელმაც უახლოეს პერიოდში მსოფლიოს უნდა წარუდგინოს ფოტოალბომი, რომლითაც გააცნობს საქართველოსა და ქართველი ხალხის უნიკალურობას.

საამაყოა, რომ ალბომში განთავსდება ფოტო ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრსა და პლენერ „გამაზე“.

პლენერის შესატყვის საკუთარ ლექსს („ფიროსმანი“) დიდი ემოციური დატვირთვით კითხულობს პლენერის სტუმარი, პოეტი ქალბატონი მარინე ცხვედიაშვილი. ოპერის მომღერალი ბაია გრიგოლია გვატკბობს უმშვენიერესი მელოდიით (ფორტეპიანოსთან ცნობილი კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე) .

ქალბატონი იზა უხმობს მასპინძელ ოჯახთა წარმომადგენლებს, რომლებიც მამა პეტრეს გულისხმიერებით არიან შერჩეული. წარუდგენს მათ თავიანთ „კუთვნილ“ სტუმრებს და შემოქმედებით წარმატებას უსურვებს ფერმწერებს, რომელთაც 24 საათის განმავლობაში ტილოზე უნდა გადაიტანონ თავიანთი შემოქმედებითი ჩანაფიქრი...

***

მეორე დღეს, 30 აგვისტოს, დღის სამი სააათისათვის იმერულ ოჯახთა სტუმართმოყვარეობით მოხიბლულნი, შემოქმედებითი „უხვი მოსავლით“ ხელდამშვენებულნი, დაგვიბრუნდნენ ფერთა ოსტატები და საზოგადოებას წარუდგინეს ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი ტილოები.

კვლავ აჟღერდა „გამას“ ჰიმნი და დაიწყო დაჯილდოების ცერემონიალი, რომელმაც დიდი სითბო და კმაყოფილება აგრძნობინა სტუმრებსაც და მასპინძლებსაც...

იზა ვეფხვაძე - პლენერ „გამას“ პროექტის ავტორი: - პლენერის დასრულების შემდეგ რჩება უდიდესი ემოცია და მადლიერების გრძნობა ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გვერდით ედგა თეატრს ამ მასშტაბური ღონისძიების ორგანიზებაში. ეს სია ძალზე ვრცელია და, ბუნებრივია, საგაზეთო სტატიაში ყველას ჩამოთვლა ვერ მოხერხდება. მინდა, გამოვყო რამდენიმე მათგანი: პლენერის მასპინძელი ბატონი ბახვა სამხარაძე, მამა პეტრე კურტანიძე, მასპინძელი ოჯახები, რომელთაც სტუმრებს იმერული მასპინძლობის მასტერკლასი ჩაუტარეს, ბატონი ბაქარ დევდარიანი, რომელიც თეატრს მუდამ გვერდით უდგას და ბოლოს, თეატრის დიდი მეგობარი ისრაელიდან ბატონი პაატა იოსებაშვილი, რომელმაც იზრუნა მონაწილეებზე და სტუმარ-მასპინძლებზე...

ჩათავდა პლენერი და ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის „გამას“ მუზეუმს შეემატა სამ ათეულზე მეტი არაჩვეულებრივი მხატვრული ტილო, რომელიც, რაც დრო გავა, კიდევ უფრო ფასეული გახდება... ეს ხომ უნიჭიერესი ხელოვანების ქველმოქმედება და საჩუქარია ხარაგაულისთვის, რაც კიდევ უფრო ღირებულს ხდის ამ დიდებულ ნახატებს... გვეამაყება, რომ წლევანდელი პლენერი გამორჩეული იყო მხატვართა სიმრავლით, მართლაც რომ მოიცვა მთელი საქართველო, რომ პლენერში მონაწილე რამდენიმე მხატვარი მსოფლიოს ას საუკეთესო მხატვართა შორისაა ... პლენერში დისტანციურად ჩართული ემიგრანტი მხატვრები მომავალი პლენერისთვის გეგმავენ საქართველოში ჩამოსვლას...

ყველაფერი შესაძლებელია, როცა სიყვარულია... ამ პლენერს მხატვრები სულისა და ფერის ზეიმს უწოდებენ...

დასრულდა პლენერი და დაიწყო ფიქრი მომავალი პლენერისთვის... რა ბედნიერებაა, რომ ამ ფიქრში ბევრი კეთილშობილი, სამშობლოზე შეყვარებული ადამიანის სახე იხატება.

ერთად ყველაფერს შევძლებთ!..

ილია პატაშური - უხუცესი მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი: -ამ ორი უმშვენიერესი დღით ვრწმუნდებით, თუ რა ძალა აქვს ადამიანის ნიჭიერებასა და მასთან შერწყმულ მშობელი ქვეყნისა და ერის სიყვარულს. ეს მრავალგზის დაამტკიცა უნიჭიერესმა იზა ვეფხვაძემ.

სრულიად საქართველოს უმასპინძლა ულამაზესმა იმერეთმა. ქალბატონ იზა ვეფხვაძის ჩაფიქრებული და ხორცშესხმული პროექტით „გამამ“ უკვე ხუთწლიანი იუბილე იდღესასწაულა. მახარებს, რომ მხატვართა წინა თაობებს იუბილეზე 14 ახალი სახე შეემატა.

სულს კვლავ აღმაფრენა ეუფლება... დედაქალაქში ჩემს სამხატვრო სალონს ამშვენებს ფერწერული ტილო „აღმაფრენა“ რომლის შთამაგონებელიც ჩემი ფუნჯისთვის ქალბატონი იზა ვეფხვაძე გახდა...

იუზა (ვალოდა) კელენჯერიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარე: - დღეს ჭეშმარიტი ხელოვნების ზეიმია იმერეთში. ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის წინამძღოლმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, არაჩვეულებრივი პროექტით, სრულიად საქართველოს ფუნჯის ოსტატებს შეგვახვედრა. მივესალმები, რომ ჩვენმა ხელოვანებმა, როგორც წინა პლენერებზე, ამჯერადაც ნიჭიერება და ქველმოქმედების დიდი ძალა გამოავლინეს.

მწამს, არ მიწყენენ ფერთა დიდოსტატები, თუ მათ გვერდით ამოვუყენებ ჩვენს კეთილ მასპინძელს, ბუნების ჭეშმარიტ „მხატვარს“ ბატონ ბახვა სამხარაძეს. მას, შრომის დიდ ნიჭთან ერთად, ზენაარისაგან მიმადლებული აქვს ბუნებაში წვდომისა და ბუნების პირველქმნილი სილამაზის აღქმის საოცარი უნარი. სწორედ ამის წყალობით მოურთავს და მოუხატავს მის „ფუნჯს“ კურთხეული მამაპაპეული მიწის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი...

ბედნიერი ვარ, რომ ამ მშვენების ჭეშმარიტი „ფერმწერი“ ბატონი ბახვა პირადად გავიცანი და განუმეორებელი სიამოვნება განვიცადე მისი „ამქვეყნიური სამოთხის“ ხილვით.

ღმერთმა დალოცოს ეს დიდებული კერა და მისი შემოქმედი!

***

კვლავ აჟღერდა „გამას“ ჰიმნი, დაბლა ეშვება დროშა... ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს იკრეფს სახვალიოდ... ნელ-ნელა ისადგურებს სიჩუმე და გრძნობ, რომ ასე ლამაზად გასრულებულ საქმეს უფლის ხელი მართავდა...

ულამაზეს სანახებს სიმშვიდის მადლს აფენდა სოფლის მფარველი დიდი ძალა - წმინდა სამება...

მერე გიორგაძე

ვერტყვიჭალასა და საღანძილეში საბავშვო ბაღების მშენებლობა დასასრულს უახლოვდება

ვერტყვიჭალასა და საღანძილეში საბავშვო ბაღების მშენებლობა მალე დასრულდება.

სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ხარაგაულის მერის მოვალეობის შემსრულებელი თეიმურაზ ჩხეიძე, ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე და მერის წარმომადგენელი საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში გოგა კიკნაძე.

ვერტყვიჭალაში აქამდე არსებული ბაღის შენობა ვერ აკმაყოფილებდა მომატებული კონტინგენტის მოთხოვნას. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ახალ ბაღში შესაძლებელი იქნება 50 აღსაზრდელის მიღება. რაც შეეხება საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულს, ამ დრომდე აქ სკოლამდელი დაწესებულება არასდროს ყოფილა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება და ბავშვებს სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ.

დღესდღეობით მუნიციპალიტეტში 20 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს.

ხარაგაულის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ჩხეიძემ, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, მეწარმეებს რეგულაციები გააცნო

კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით, ხელისუფლება მოსახლეობას აფრთხილებს, დაიცვან ყველა ის რეგულაცია, რაც სახელმწიფოს მიერ დაავადების გავრცელების პრევენციისკენაა მიმართული.

ამასთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანდაცვის ცენტრთან ერთად, დაბაში არსებული ობიექტების მონიტორინგს ახორციელებს.

მერის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ჩხეიძემ პირადად გააცნო რამდენიმე მეწარმეს, თუ როგორ უნდა დაიცვან რეგულაციები.

კერძოდ, აუცილებელია, ყველა ობიექტს ჰქონდეს სადეზინფექციო სითხე და დეზობარიერი. ასევე სავალდებულოა პირბადის გამოყენება და 2-მეტრიანი დისტანციის დაცვა.

შეგახსენებთ, რომ ამ დრომდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის არც ერთი ფაქტი არ დადასტურებულა.

27 წელი სოხუმის დაცემიდან...

ძვირფასო მკითხველო!

აფხაზეთის ომის თემაზე ძალიან ბევრი დაიწერა და იწერება დღესაც. საქართველოში ძნელად შეხვდები ადამიანს, რომელსაც თავისი შეხედულება არ გააჩნდეს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან და, კერძოდ, ომთან მიმართებაში. თუ რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია ეს აზრი, იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ და როგორ უდგება საკითხს, თუ რამდენად სიღრმისეულად ფლობს იგი იმ დროს საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში შექმნილ რეალურ ვითარებას, თუ რამ გამოიწვია ეს ომი, ან მასში ჩვენი დამარცხება.

აფხაზეთის ომის ბევრისთვის უცნობ დეტალებზე, მათ შორის, თუ რამ განაპირობა სოხუმის დაცემა, გვესაუბრება აფხაზეთის უშიშროების ექს-მინისტრი, აფხაზეთის ომის მონაწილე, გენერალი ლევან კიკნაძე. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება, აღვნიშნოთ, რომ ბატონი ლევანი წარმოშობით ხარაგაულის რაიონის სოფ. ჩხერის კიკნაძეების, კერძოდ, სულხან კიკნაძის სახელოვან შტოს მიეკუთვნება, რომლებსაც სხვანაირად სულხანიშვილებადაც მოიხსენიებენ.

ასევე შეგახსენებთ, რომ ლევან კიკნაძე ხარაგაულელებისთვის კარგად ცნობილი, რკინიგზის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს რკინიგზის უფროსის ყოფილი მოადგილის, აწ განსვენებულ მამული კიკნაძის უფროსი ძმაა. სწორედ მამული კიკნაძის სახელს უკავშირდება მელისკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენა. ხსენებული ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ჩხერის ციხის დასავლეთ ფერდობზე, მელისკარის უბანში მდებარეობს.

ბატონ ლევანს ცხოვრების ძალზე საინტერესო გზა აქვს განვლილი. მან მედლით დაამთავრა სოხუმის მეჩვიდმეტე სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. მუშაობდა მეტად მნიშვნელოვან თანამდებობებზე.

1973 წლიდან ლევან კიკნაძე მუშაობას იწყებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტში, სადაც განვლო გზა უფროსი ლეიტენანტიდან გენერალ-მაიორამდე, რიგითი თანამშრომლიდან - მინისტრამდე.

- ბატონო ლევან, სოხუმის დაცემიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. საინტერესოა თქვენი მოსაზრება, რამ გამოიწვია შეიარაღებული კონფლიქტი, იყო თუ არა აუცილებლობა აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირებების შეყვანისა?

-1992-93 წლის ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა, რომელიმე მხარეს მის მძიმე, დამანგრეველ შედეგებზე ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონოდა. მართალია, ვლადისლავ არძინბამ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმდროინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე) არ დაგვიტოვა შანსი და ყველაფერს აკეთებდა, რათა აფხაზეთი გამოეყვანა საქართველოს იურიდიული სივრციდან, მაგრამ არანაკლები დანაშაულის ტოლფასი შეცდომა დაუშვა სახელმწიფო საბჭომ, როცა უკიდურესად ფეთქებადსაშიშ ვითარებაში, რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე კრიმინოგენური ვითარების გამოსწორება ჯარის შეყვანით გადაწყვიტა. მხოლოდ ის არგუმენტი, რომ იმ დროს შექმნილი ვითარება მოითხოვდა საჯარისო ფორმირებების აფხაზეთში შეყვანას, საკმაოდ უსუსურად გამოიყურება.

ასე რომ, ქვეყნის ხელისუფლება ვალდებული იყო, გაეანალიზებინა, თუ რა გართულებები შეიძლება მოჰყოლოდა ჯარების შეყვანას აფხაზეთში, მით უმეტეს, როცა ჩვენგან მიწოდებული წერილობითი თუ ზეპირი ოპერატიული ინფორმაციები ნათლად მეტყველებდა, რომ არძინბა საბაბს ეძებდა ძმათამკვლელი ომის გასაჩაღებლად. ამასთან, სამხედრო საქმის განსაკუთრებული ცოდნა არ სჭირდებოდა იმის გათვლასაც, რომ დასახული მიზანი ვერ მიიღწეოდა გაუწვრთნელი, სახელდახელოდ შეკრებილი მოხალისეებისაგან შექმნილი შეიარაღებული ფორმირებებით, რომელთა მეთაურების უმრავლესობას, რომ აღარაფერი ვთქვათ რიგით მებრძოლებზე, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რას ისახავდა მიზნად მათი აფხაზეთში შესვლა. ამასთან, რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მთავარი იყო, პროვოკაციაზე წამოეგო ქართული მხარე და მისი შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში შემოეტყუებინა, თორემ შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, მათი მხრიდან აღარ უნდოდა დიდი დაგეგმვა და ტვინის ჭყლეტა.

აქედან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძე აუცილებლად უნდა ჩამოსულიყო აფხაზეთში, ადგილზე გაცნობოდა ვითარებას, შეხვედროდა არძინბას და გადაწყვეტილებაც ისე მიეღო.

- ქართული საჯარისო ფორმირებების შეყვანა აფხაზეთში, გარდა რკინიგზაზე წესრიგის დამყარებისა, იქნებ სეპარატისტებისა და აფხაზეთში გამოქცეული ზვიად გამსახურდიას მომხრეების დასაშოშმინებლადაც დაიგეგმა?

-ასეთი ეჭვი ჩვენც გაგვიჩნდა, მით უმეტეს, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების წინ შექმნილი უაღრესად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომელსაც ამძიმებდა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან გამოდევნილი და ადგილობრივი, ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდამჭერების შეურიგებელი დაპირისპირება შევარდნაძის მომხრეებთან, ამის საბაბს იძლეოდა.

სახელმწიფო გადატრიალების ტალღაზე მოყვანილი შევარდნაძე კარგად ხედავდა, რომ ზვიად გამსახურდიას დამამხობელი ძალებისა და მათი ზოგიერთი ავანტიურისტი ლიდერის მძევალი იყო და ამიტომაც ბევრი გადაწყვეტილება პოპულიზმისთვის და აჟიტირებული საზოგადოების გულის მოგებისთვის უფრო მიიღებოდა, ვიდრე ამას სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდა. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება აფხაზეთში ჯარების შეყვანა იყო. მართალია, მოტივი აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთზე წესრიგის დამყარება იყო, მაგრამ რა იხარშებოდა კიტოვანის თავში და ვის დავალებებს ასრულებდნენ ის და მისი ფარული თუ ღია მხარდამჭერები, იმ დროისთვის ჩვენთვის უცნობი იყო.

-27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა, რას გვეტყვით ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებულ მოვლენებზე, შეიძლებოდა თუ არა სოხუმისა და, საბოლოო ჯამში, აფხაზეთის დაცვა?

-27 სექტემბერს სოხუმის დაცემა არ იყო მხოლოდ შედეგი ჩვენი შეიარაღებული ფორმირებების დამარცხებისა, რაც სოხუმის დაცვისთვის წარმოებულ ლოკალურ ბრძოლებში განიცადეს. ეს დამარცხება ადრე თუ გვიან მოსალოდნელი იყო, მიუხედავად ჩვენი მებრძოლების თავგანწირული ბრძოლებისა, რომლებსაც წელიწადზე მეტ ხანს აწარმოებდნენ. შევეცდები, ავხსნა ჩვენი დამარცხების მიზეზები, ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული იმ ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც მოხდა აფხაზი სეპარატისტების, მათი მხარდამჭერი ხილული თუ უხილავი ძალებისა და რუსეთის სპეცსამსახურების ერთიანი გეგმის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა დაამყარეს კონტროლი ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონზე, გაგრის ზონაზე, გულრიფშის რაიონზე, სოხუმის რაიონსა და ქალაქ სოხუმზე, ხოლო სეპარატისტები აკონტროლებდნენ ზემო და ქვემო ეშერას, გუდაუთის რაიონს, ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონს და ქალაქ ტყვარჩელს, ქართულმა მხარემ შეტევითი საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტა და დაემორჩილა გაეროს ეგიდით და რუსეთის ხელშეწყობით 1992 წლის 3 სექტემბერს ქართულ–აფხაზური მოლაპარაკების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. როგორც ცნობილია, აფხაზური მხარისთვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ტაქტიკურად მისაღები და ხელსაყრელი იყო, რადგანაც რუსეთის დახმარებით ეძლეოდა დრო და საშუალება, გადამწყვეტი ბრძოლებისთვის მომზადებულიყო.

პირველი ასეთი შემოტევა, რუსეთის შეიარაღებული ძალების, კაზაკებისა და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების დახმარებით, სეპარატისტებმა

განახორციელეს, ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების მიღებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 2-5 ოქტომბერს და დამთავრდა გაგრის აღებით. გაგრის ზონაზე კონტროლის დამყარებას სეპარატისტებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ალყაში მოქცეულ გუდაუთის აფხაზურ დაჯგუფებას გზა გაეხსნა რუსეთის საზღვრისაკენ, რამაც გაცილებით გაუადვილა კრემლს სეპარატისტების დახმარება ცოცხალი ძალით, შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკითა და საბრძოლო მასალებით.

ამას მოჰყვა ისევ რეზოლუციები და შეთანხმებები, რომლებიც ასევე დაირღვა სეპარატისტების მიერ და 1993 წლის მარტს, რიგით მეორე, ფართომასშტაბიანი შემოტევა განახორციელეს, ამჯერად უკვე სოხუმზე, რომლის აღებაში გადამწყვეტი როლი, გეგმით ისევ რუსეთის რეგულარულ სამხედრო ძალებს ეთმობოდა. შემოტევა სოხუმზე 15 მარტს დაიწყო და სეპარატისტებმა ორ დღეში სასტიკი მარცხი იწვნიეს. მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ იმ დროს, როდესაც კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები ყველა დონეზე ამტკიცებდნენ, რომ ნეიტრალიტეტს იცავდნენ და, გაეროს მანდატით აღჭურვილები, მომრიგებლის ფუნქციას ასრულებდნენ, სინამდვილეში 15-16 მარტის ბრძოლებმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა რუსეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა სეპარატისტული რეჟიმისადმი, რაც დასტურდებოდა, სადაზვერვო ინფორმაციებით, ბრძოლების მსვლელობისას რადიოგადაჭერებით და ასევე თავის აღიარებით ჩვენებაში დაადასტურა ბრძოლების შემდეგ, კერძოდ, 31 მარტს, სოხუმში ჩვენ მიერ შპიონაჟის ბრალდებით დაკავებულმა ГРУ-ს (რუსეთის სამხედრო დაზვერვა) ოფიცერმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სიტნიკოვმა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი, მარტის საომარ კამპანიაში განცდილმა მწარე მარცხმა, სერიოზულად დააფიქრა და იძულებული გახადა, სოხუმის აღების მორიგ გეგმაში თვისობრივად ახალი კორექტივები შეეტანა. შემტევი საბრძოლო ოპერაციების წარმოება, რომლებშიც აფხაზი სეპარატისტების გარდა ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებისა და კაზაკების გაერთიანებული ძალების მონაწილეობა იყო გათვალისწინებული, გუდაუთაში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზის შტაბს დაევალა. ხსენებული ოპერაცია 1993 წლის ივლისის დასაწყისში ოჩამჩირის რაიონის ზღვისპირა სოფელ ტამიშში, აფხაზების და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების საზღვაო დესანტის გადასხმით დაიწყო, რომელიც უნდა შეერთებოდა ტყვარჩელის დაჯგუფებას და გაერთიანებული ძალებით გადაეკეტათ ოჩამჩირე-სოხუმის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი. ამით პრაქტიკულად ალყაში ექცეოდა სოხუმი, რომლის აღების მოსამზადებელი ბრძოლები ტამიშის ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა და სოხუმის შემოგარენის (კომანის, ახალშენისა და ცუგუროვკის) სტრატეგიული სიმაღლეების დაკარგვით და მათზე სეპარატისტების კონტროლის დამყარებით დასრულდა. ბრძოლები ტამიშთან ერთ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა და მტრის მრავალრიცხოვანი დესანტის მთლიანი განადგურებით დამთავრდა. ამით სოხუმის აღების მორიგი გეგმაც ჩაიშალა, მაგრამ საფრთხე არ მოხსნილა, რადგანაც სოხუმის მიმდებარე სიმაღლეებს უკვე სეპარატისტები აკონტროლებდნენ.

ტამიშთან წარმოებულმა ბრძოლებმა, რომლებშიც აქტიური მონაწილეობა ლოთი (ვახტანგ) ქობალიას (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის მეთაური) შეიარაღებულმა ფორმირებებმაც მიიღეს, ნათლად აჩვენა, რომ ერთიანი ძალისხმევისა და სულისკვეთების შემთხვევაში, სერიოზულ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენდით და შეიძლებოდა ბევრი რამ ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნებულიყო. პირველ რიგში, უნდა გაგრძელებულიყო ბრძოლები უკვე ტყვარჩელის მიმართულებით და კონტროლი დაგვეწესებინა მასზე. ასევე ერთიანი ძალებით და ორგანიზებულად აღგვედგინა კონტროლი სოხუმის მიმდებარე სიმაღლეებზე, რომლებიც ამ დროისთვის უკვე დაკავებული ჰქონდათ სეპარატისტებს. ამის სანაცვლოდ, 1993 წლის ივლისის ბოლოს, ლოთი ქობალიამ თავისი ფორმირებები შეატრიალა აღმოსავლეთით და აიღო ხობი და სენაკი.

მეოთხე და ბოლო ფართომასშტაბიანი შემოტევის გეგმაში რუსეთმა მის ხელთ არსებული ყველა რესურსი აამოქმედა. პირველი და, რაც მთავარია, ხელი შეუწყო მოვლენების ისეთ განვითარებას, რომელმაც აიძულა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება, ხელი მოეწერა აშკარად წამგებიან დოკუმენტზე - 1993 წლის 27 ივლისის ცნობილ შეთანხმებაზე. ხსენებული დოკუმენტის ზერელე ანალიზიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ ხელშეკრულების მთელი რიგი პუნქტები, განსაკუთრებით, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანა, ქართულ შინაგან ჯარში აფხაზური შინაგანი პოლკის გაერთიანება, გუდაუთაში მოქმედი ხელისუფლების აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნება და ქართულ მხარესთან ერთობლივი საქმიანობის აღდგენა, იმ დროისათვის იმდენად წარმოუდგენელი და არარეალური იყო, რომ ამ ხელშეკრულებას, ისევე, როგორც 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებას, შესრულება არ ეწერა.

როგორც ცნობილია, 16 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ დაარღვია 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება და დაიწყო მასირებული შემოტევები გუმისთის, შრომისა და ტყვარჩელის ფრონტების ხაზებზე. 10-დღიანი უთანასწორო ბრძოლა 27 სექტემბერს სოხუმის, ხოლო 30 სექტემბერს აფხაზეთის დაცემით დამთავრდა.

ერთი მხრივ, ეს იყო კრემლის სპეცსამსახურების მიერ წინასწარ ჩაფიქრებული, მისივე შეიარაღებული ძალების გენშტაბის მიერ შემუშავებული, მზაკვრული მოღალატეობრივი გეგმის ლოგიკური დასასრული, რომელიც ერთობლივად განახორციელეს სეპარატისტების, რუსეთის რეგულარული ჯარების, კაზაკებისა და ჩრდილოკავკასიელი „კონფედერატების“ გაერთიანებულმა ძალებმა.

მეორე მხრივ, ხსენებულ გეგმაში, თავისი მნიშვნელობით, განსაკუთრებული როლი აუცილებლად ექნებოდა დათმობილი დასავლეთ საქართველოში „დროულად“ განვითარებულ მოვლენებს, რომლებზეც ვერავითარი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა ზვიად გამსახურდიას მოწოდებამ, რომლითაც მან სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე 25 სექტემბერს წალენჯიხის მიტინგის მონაწილეებს მიმართა: „აფხაზეთში ჩვენს მეომრებს უნდა მოვეხმაროთ, ჩვენი ფრონტი უნდა გავაძლიეროთ, უნდა ვიხსნათ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, უნდა დავიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ აფხაზეთი და გადავარჩინოთ ჩვენი ქართველობა, აფხაზეთის ქართველობა.“ სამწუხაროდ, არც ამ მოწოდებას და არც სოხუმის დაცემის შემდეგ გალის მიტინგზე გაკეთებულ თითქმის ანალოგიური შინაარსის მიმართვის შესრულებას, ლოთი ქობალია და მისი თანამზრახველები არც ფიქრობდნენ. მათ მხოლოდ შევარდნაძის დამხობა აინტერესებდათ და ზვიად გამსახურდია ამიტომაც მოტყუებით ჩამოიყვანეს გროზნოდან. თან ეს პერიოდი ძალიან საეჭვოდ ემთხვევა იმ დროს, როდესაც სოხუმში საომარი მოქმედებები განახლებული იყო. ამ დროს, როდესაც განსაკუთრებით გვჭირდებოდა ყველა ძალის კონსოლიდაცია, ხდებოდა პირიქით, დასავლეთ საქართველოში გახსნილ მეორე ფრონტს ემატებოდნენ სოხუმისა და მისი შემოგარენის საბრძოლო პოზიციებიდან მოხსნილი მებრძოლები, რაც, ფაქტობრივად, შეიარაღებული ძალების შუაზე გახლეჩას ნიშნავდა..

არ მინდოდა ძველი იარების გახსენება, მაგრამ, რადგან ელექტრონულ თუ ბეჭდვით მედიაში დიდი ადგილი ეთმობა იმ ომთან დაკავშირებულ ურთიერთგამმრიცხავ მოსაზრებებს, თავი მოვალედ ჩავთვალე, უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით, შევხებოდი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში ლოთი ქობალიას მიერ გახსნილ ფრონტს, რომელმაც, ფაქტობრივად, სეპარატისტების მოკავშირის ფუნქცია შეასრულა.

ზემოთ თქმულს ადასტურებს ჩვენ მიერ ერთ-ერთი რადიოგადაჭერის შედეგად მიღებული დიალოგი ზუგდიდსა (სახმისი „ოდიში„) და გუდაუთას შორის (სეპარატისტების სახმისი „ალფა–10„) 4230 კჰც სიხშირეზე 1993 წლის 2 ოქტომბერს, აფხაზეთის დაცემის მეორე დღეს.

„ოდიში“:

– „ალფა-10“:, მე „ოდიში“ ვარ.

„ალფა-10“:

– მიღებაზე „ალფა-10“ ვარ.

„ოდიში“:

– გილოცავთ თქვენი ამოცანის შესრულებას, სოხუმისა და ოჩამჩირეს აღებას.

„ალფა-10“:

– გმადლობთ, გმადლობთ, თქვენც ასევე გისურვებთ წარმატებებს, რას აპირებთ შემდგომ?

„ოდიში“:

– ვემზადებით ქუთაისზე შეტევისთვის.

„ალფა-10“:

– თბილისი, თბილისი?

„ოდიში“:

– თბილისზე ჯერ ძალიან ძნელია, იცით რა? თქვენ ძალიან ბევრ მშვიდობიან მცხოვრებელს ხოცავთ, მათ შორის, ჩვენს მომხრეებსაც. და, საერთოდ, გალის აღება არ იყო შეთანხმებული.

„ალფა-10“:

– გავიგე, მაგრამ გესმის აქ რა ხდება? ჩვენი მებრძოლების შეჩერება ვერ შევძელით, ძალიან ძნელი იყო, „ენგურზე უნდა გავიდეთო“,- ამბობდნენ ისინი. აი ასე იყო თქმული. როგორ გაიგე?

„ოდიში“:

– კი, კი გავიგე. გააჩერეთ თქვენი მებრძოლები, თორემ დევნილები მოდიან აქეთ, ითხოვენ, რომ დარჩნენ გალში. ამიტომ იძულებული ვართ, მივეხმაროთ მათ. ეს ხელს გვიშლის, შევასრულოთ ჩვენი ამოცანები.

„ალფა-10“:

– ქუთაისი? სწორად გავიგე?

„ოდიში“:

– დიახ, დიახ ქუთაისი. ჩვენებიდან ბევრმა არ იცის, რა მოლაპარაკებაც იყო, ამიტომ დააწყნარეთ თქვენი ბოევიკები.

„ალფა-10“:

– კარგი, გავიგე. ისინი, ეტყობა, არ ემორჩილებიან. ხომ, უთხარი, ქობალია გამოვიდეს კავშირზე აქ ჩვენი „მეორე“ ითხოვს. როგორ გამიგე?

„ოდიში“:

– კარგი, ყოველივე კარგს გისურვებ ძამიკო!

კავშირის დამთავრება.

ყოველივე ამის შემდეგ, ადვილად ასახსნელია, რომ სამოქალაქო ომში ჩათრეული საქართველოს ხელისუფლება დიდხანს ვერ გაუძლებდა რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად საომარი მოქმედებების წარმოებას, თანაც არავითარი გზები არ ჩანდა ომიდან ღირსეული გამოსვლისა. ყველაფერი ისეთნაირად დამთავრდა, როგორსაც ომის დასაწყისში ვერ ინატრებდნენ აფხაზი სეპარატისტები. რუსეთის დახმარებით და ქართველებისვე ხელშეწყობით აუსრულდათ სანუკვარი ოცნება - თითქმის მთელი ქართველობა გამოდევნეს აფხაზეთიდან.

***

ბატონო ლევან!

2 ოქტომბერი თქვენი დაბადების დღეა. ვისურვებდით, რომ სულ მალე აფხაზებსა და ქართველებს შორის „ჩატეხილ ხიდი“ კვლავ გამთელებულიყოს და, ზენაარის ძალით, კვლავ სიკეთეს ეზეიმოს!.. უკეთეს საჩუქარს ხომ ვერც ინატრებდით?

ისმინე, უფალო!

მერი გიორგიძე

წიგნის პრეზენტაცია ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ეზოში

23 სექტემბერს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ, გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა „საქართველოს დედოზარი - ლევან გოთუა“, რომლის ავტორია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჯაფარიძე. წიგნი ეძღვნება ლევან გოთუას დაბადების 115 წლისთავს.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ ავტორმა წიგნები საჩუქრად ჩამოუტანა ხარაგაულის ცენტრალურ და სასოფლო ბიბლიოთეკებს და ფართო მკითხველისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

სტუმრებს წიგნის ავტორი წარუდგინა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ. მან ვრცლად ისაუბრა ბატონ ივანეს დამსახურებასა და დიდ ღვაწლზე, ხაზი გაუსვა, რომ ივანე ჯაფარიძე მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელების - ალიოშა, სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეების ღვიძლი ძმისშვილია. იგი გაზარდა ქართული ალპინიზმის ლეგენდამ, ალექსანდრა ჯაფარიძემ. მისი ავტორობით გამოცემულია გზამკვლევი „საბჭოთა ალპინიზმის სახელოვანი წარმომადგენლები“ და „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“.

ავტორს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მწერალთან და მის შესახებ დაგროვილმა დოკუმენტურმა მასალებმა გადააწყვეტინა აღნიშნულ წიგნზე მუშაობა.

ჩვენმა საპატიო სტუმარმა ივანე ჯაფარიძემ, შთამბეჭდავად ისაუბრა იმ წლების შესახებ, რომელიც ლევან გოთუამ გადასახლებაში გაატარა.

პატიმრობის 22 წლიდან ათი ვორკუტაში დაჰყო. სწორედ იქ შექმნა გენიალური „გმირთა ვარამის“ ორი წიგნისთვის მასალები. პატიმრები ძალიან ეხმარებოდნენ. ზოგი ქაღალდს აწვდიდა, ზოგი - ფანქარს, ზოგი ხელნაწერს მალავდა, რომ ციხის უფროსობას არ გაენადგურებინა. საბოლოოდ, გათავისუფლების შემდეგ, შეძლო ამ საინტერესო ისტორიული რომანის დასრულება. ტანჯული ცხოვრების მიუხედავად, მან ქართული პროზა გაამდიდრა ისტორიული რომანებით, სცენარებით, მოთხრობებით. სამწუხაროდ, დაუსრულებელი დარჩა რომანი „მითრიდატე.“

ასევე ისაუბრა იმ საინტერესო მომენტებზე, რომლებიც ლევან გოთუას ალპინიზმთან აკავშირებს.

ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ქალბატონმა მერი გიორგიძემ მადლობა გადაუხადა წიგნის ავტორს, სრულიად საქართველოსათვის ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და დიდ პატრიოტს, ესოდენ საინტერესო წიგნის შექმნისათვის.

ქალბატონმა მერიმ თავისი სტუდენტობა გაიხსენა, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ განხილვა და პირადად გაიცნო დიდი მწერალი. ამავე დროს, განსაკუთრებით გააკეთა აქცენტი იმ დიდ პატრიოტულ ეპიზოდზე, როცა საბჭოური რეჟიმის მიერ ციმბირში გადასახლებული ცნობილი ექიმების - ოლია მესხისა და ნესტორ იმნაიშვილის-პატარა თინიკოს ფეხი უნდა აედგა. ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს არ უნდოდათ, რომ ფეხის ადგმა ციმბირის მიწაზე მომხდარიყო, ამიტომ ლევან გოთუამ და მისმა მეგობრებმა სასწრაფოდ გამოაგზავნინეს სამშობლოდან საქართველოს რუკა, ხალიჩის მაგიერ გაშალეს ოთახში და პატარა თინიკომ პირველი ნაბიჯები სიმბოლურად ქართულ „მიწაზე“ გადადგა...

ბატონო ვანო! თქვენი წიგნი „საქართველოს დედოზარი - ლევან გოთუა“ კიდევ უფრო ახლობელს გახდის სრულიად საქართველოსა და, მათ შორის, ხარაგაულელ მკითხველთათვის დიდ მამულიშვილს, რომელიც ამბობდა: „ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორს ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო...“

***

ბატონმა ივანემ მადლობა გადაუხადა წიგნის პრეზენტაციის ორგანიზატორებს და ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს მასპინძლობისათვის, ისინი ხომ ასე რუდუნებით უვლიან და უნახავენ მომავალ თაობას მუზეუმში დაცულ ეროვნულ საგანძურს, რაც ასე ძვირფასია წარსული ისტორიიდან.

სოფო ლაცაბიძე
ხარაგაულის საბავშვო
ბიბლიოთეკის
მთავარი სპეციალისტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ტყე-კაფები გამოყოფილია და საშეშე მერქნით სარგებლობა შესაძლებელია

დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად საქართველოში ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობაა. მოქალაქეს უწევს გარკვეული პროცედურების გავლა, რათა მოიპოვოს როგორც სამასალე, ასევე საშეშე მერქანი. სულ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს პარლამენტის მიერ „ტყის კოდექსში“ ცვლილებები განხორციელდა, რაც მოსახლეობას და კერძო სექტორს უადვილებს ხე-ტყის შეძენასა და ტრანსპორტირებას მათთვის სასურველ ადგილას.

როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსი სოსო ფოფხაძე აღნიშნავს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევში, დიდვაკესა და კიცხში ე.წ „საქმიანი ეზოების“ მოწყობა იგეგმება. ეს პროცესი დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება. მისივე ინფორმაციით, საშეშე მასალის შეძენა შეღავათიან ფასებში, საბაზრო ფასთან შედარებით 10-15 ლარით ნაკლებად იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება სამასალე მერქანს, მისი შეძენა აუქციონის წესით მოხდება.

სოსო ფოფხაძე მიმდინარე წელს მოსახლეობის საშეშე მერქნით მომარაგების საკითხებზეც გვესაუბრება და ამბობს, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით ოცი ტყე-კაფია გამოყოფილი.

„პიროვნება, საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, უკავშირდება ხარაგაულის სატყეო უბნის თანამშრომელს, ტყისმცველს, რომელიც აძლევს ტყე-კაფის კოდს. ამის შემდეგ ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში ამ კოდის მეშვეობით გადაიხდის საფასურს. ბანკში აღებული ქვითრის საფუძველზე მეტყევე გაუწერს ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტს და ამის შემდეგ შესაძლებელია საშეშე მერქნის გატანა. რაც შეეხება ღირებულებას, იგი უცვლელია, ერთი კბ.მ რცხილისა და წიფლის ღირებულება ექვსი ლარია, ხოლო მურყანის ფასი ხუთ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ ოჯახს შეუძლია, ისარგებლოს 15 კბ.მ საშეშე მერქნით, სხვა ზონებზე კი-7-ით.“-განმარტავს ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსი.

ამჟამად მუნიციპალიტეტის სატყეო უბანს ტყის რვა სპეციალისტი ემსახურება. მათთან კომუნიკაციის გაადვილების მიზნით, გთავაზობთ თითოეულის საკონტაქტო ინფორმაციას.

წიფის სატყეო უბანი: სპეციალისტი - გიორგი რიკაძე - 555 22 24 17;

საქასრიის სატყეო უბანი: სპეციალისტი ზვიად ლომიძე - 555 33 09 42;

ბორითის სატყეო უბანი: სპეციალისტი პაპუნა ჭიპაშვილი - 595 00 30 64;

ზვარის სატყეო უბანი: სპეციალისტი მურმან ფერაძე - 593 47 59 40;

მოლითის სატყეო უბანი: სპეციალისტი მერაბ ტალახაძე - 595 60 04 34;

რიკოთის სატყეო უბანი: სპეციალისტები- ერასტი ღამბაშიძე-595 00 03 62, ნუგზარ გელაშვილი -595 00 06 96;

ვარძიის სატყეო უბანი: სპეციალისტი კახაბერ ხიჯაკაძე- 599 89 88 47;

აღსანიშნავია, რომ „საქმიანი ეზოების“ ამოქმედებამდე ჩვეულ რეჟიმში მუშაობს სატყეო მეურნეობა. მოწესრიგებულია საურმე და სამანქანო გზები და გახსნილია ყველა ტყე-კაფი, სადაც 5000 კბ.მ ხე-ტყეა გამოყოფილი.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ �პᲐᲠᲙᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲐᲢᲠᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ

ხარაგაულში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის მიზნით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა. შპს „ჯთ დიზაინ მეტალი“ სამუშაოებს 46 850 ლარად შეასრულებს.

ატრაქციონები ცენტრალურ პარკში განთავსდება.

მიმწოდებელი ვალდებულია, შეძენა-მონტაჟი ხელშეკრულების დადებიდან ორმოცდახუთ დღეში განახორციელოს.

სამძიმარი

ღრმა მწუხარებით თანავუგრძნობთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით კიკნაძესა და მის მეუღლეს, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს სპეციალისტს ქალბატონ ია ტაბატაძეს უსაყვარლესი ძმისა და მაზლის, შრომისმოყვარეობით, სიკეთითა და ადამიანთა სიყვარულით გამორჩეული ვაჟკაცის

თენგიზ ალექსის ძე კიკნაძის

გარდაცვალების გამო.

უფლის მადლმა მარადიული სიმშვიდე მიანიჭოს მის სულს, გააძლიეროს მისი დანატოვარი ოჯახი და საახლობლო.

ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12